

ფარმაკოგნოზია 2

1. ალკალოიდების დახასიათება და კლასიფიკაცია;
2. ალკალოიდების გავრცელება მცენარეებში, ძირითადი პროდუცენტი ბოტანიკური ოჯახები და მათი როლი მცენარისთვის;
3. ალკალოიდების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები;
4. ალკალოიდების იზოლირების და ექსტრაქციის მეთოდები;
5. ალკალოიდების გამოყენება მედიცინაში;
6. აციკლურ და გვერდით ჯაჭვში აზოტიანი, პიროლიდინისა და პიპერიდინის კონდენსირებულ ბირთვიანი, პიროლიდინის და პიროლიზიდინური ალკალოიდების შემცველი მცენარეები: ეფედრა, უცუნა, ხარიშუმლას სახეობები, შმაგა, ლემა, ლენცოფა, სკოპოლიას სახეობები; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
7. ქინოლიზიდინის და იზოქინოლინის ალკალოიდების შემცველი მცენარეები: თერმოფსისის სახეობები, სეკურინეგა, ყვითელი ღუმფარა, ყვითელი ყაყაჩურა, კოწახური, ქრისტესისხლა, დამაძინებელი ყაყაჩო, სტეფანია, გალანტამინის მცენარეული წყაროები; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
8. ქინოლინის და ინდოლის ნაწარმი ალკალოიდების შემცველი მცენარეები: ქინაქინის ხე, ჭვავის რქა, რაუვოლფია, ქუჭულა, პასიფლორა, გველის სუროს სახეობები; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
9. პურინული და სტეროიდული ალკალოიდების შემცველი მცენარეები: ჩინური ჩაი, ყავა, კაკაოს ხე, კოლას თესლი. დეზურას სახეობები, წილადოვანი ძაღლყურძენა, შხამა; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
10. ფენოლური შენაერთები, მათი დახასიათება და კლასიფიკაცია.
11. მარტივი ფენოლების, შემცველი სამკურნალო მცენარეები: დათვის კენკრა, წითელი მოცვი, მამრობითი გვიმრა, ვარდისფერი როდიოლა; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
12. კუმარინების დახასიათება, კლასიფიკაცია, გავრცელება მცენარეებში;
13. კუმარინების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები;
14. კუმარინების მედიკო-ბიოლოგიური მნიშვნელობა.
15. კუმარინების შემცველი მცენარეები: სამკურნალო ძიძო, ცხენისწაბლა, ლეღვი, სათესი ძირთეთრა, დიდი ამი, დათვიმარწყვა; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
16. ფლავონოიდების დახასიათება, განმარტება;
17. ფლავონოიდების კლასიფიკაცია;
18. ფლავონოიდების გავრცელება მცენარეებში;

19. ფლავონოიდების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და კვლევის მეთოდები
20. ფლავონოიდების სამედიცინო მნიშვნელობა;
21. ფლავონოიდების შემცველი მცენარეები: კუნელი, მათიტელას სახეობები; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
22. ფლავონოიდების შემცველი მცენარეები: შავბალახა, ნეგო, რუსული ღიღილო, ძირტკბილა, ბერულა, იაჟუჟუნა, ყანის ია, ასფურცელა. პ-ვიტამინური აქტივობის ნივთიერებები და მცენარეები; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
23. ქრომონების დახასიათება, კლასიფიკაცია და მედიცინაში გამოყენება;
24. ქრომონების შემცველი მცენარეები და ნედლეული: სურნელოვანი კამა, კბილის ამი; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
25. ლიგნანების დახასიათება, კლასიფიკაცია და მედიცინაში გამოყენება;
26. ლიგნანების შემცველი მცენარეები და ნედლეული: ჩინური ლიმონურა, ელეუტეროკოკი, ფეხფოთოლა, ბაყაყურა; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
27. ანტრაცენწარმოებულების დახასიათება, კლასიფიკაცია;
28. ანტრაცენის ნაწარმების გავრცელება და ლოკალიზაცია მცენარეებში;
29. ანტრაგლიკოზიდების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები;
30. ანტრაგლიკოზიდების მედიკო-ბიოლოგიური მნიშვნელობა;
31. ანტრაცენწარმოებულების შემცველი მცენარეები: ხეჭრელის სახეობები, ხეშავი, ლოლო, რევანდი, სინამაქი, ალოე, ენდრო; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
32. მთრიმლავი ნივთიერებების დახასიათება, კლასიფიკაცია;
33. მთრიმლავი ნივთიერებების გავრცელება მცენარეებში და მათი გამოყენება მედიცინაში. გალები, მუხის სახეობები, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
34. მთრიმლავი ნივთიერებების შემცველი მცენარეები: თრიმლი, თუთუბო, დვალურა, მოცვი, თავსისხლა, მარწყვაბალახა, მურყანი; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
35. ალკალოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ფიტოქიმიური ანალიზი. ექსტრაქცია;
36. თვისებითი რეაქციები ალკალოიდებზე;
37. ალკალოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - ხარიშუმბლას სახეობების მაკროსკოპული და მიკროსკოპული ანალიზი;
38. ტროპანის ნაწარმი ალკალოიდების შემცველი მცენარეული ნედლეულის - შმაგას, ლემას, ლენცოფას ფოთლების მაკრო და მიკრო ანალიზი;
39. იზოქინოლინის ნაწარმი ალკალოიდების შემცველი მცენარეული ნედლეულის - ქრისტესისხლას ბალახის მაკრო- და მიკრო- ანალიზი.
40. ქინოლიზიდინის ნაწარმი ალკალოიდების შემცველი მცენარეული ნედლეულის - სეკურინეგას ფოთლების მაკრო- და მიკრო- ანალიზი.

41. ქინოლინის ნაწარმი ალკალოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის თვისებრივი ანალიზი - გრახეს რეაქცია;
42. ინდოლის ნაწარმი ალკალოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - გველის სუროს და პასიფლორას ბალახის მაკრო- და მიკრო-ანალიზი;
43. პურიის ნაწარმი ალკალოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - ჩაის ფოთლების მაკრო და მიკრო ანალიზი;
44. სტეროიდული ალკალოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - შხამას ფესვების მაკრო- და მიკრო-ანალიზი;
45. მარტივი ფენოლების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - დათვის კენკრას ფოთლების და მამრობითი გვიმრას ფესურას, მაკრო-, მიკრო- და ფიტოქიმიური ანალიზი.
46. კუმარინების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - ძიძოს ბალახის მაკრო-, მიკრო- და ფიტოქიმიური ანალიზი.
47. ფლავონოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის, კუნელი, წყლის წიწაკას, ჩვეულებრივი მათიტელას, ბოსტნის წალიკას ბალახის მაკრო-, მიკრო- და ფიტოქიმიური ანალიზი;
48. ფლავონოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - შავბალახას და კრაზანას ბალახის მაკრო- და მიკრო- ანალიზი;
49. ანტრაცენწარმოებულების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - ხეჭრელის ქერქის მაკრო-, მიკრო- და ფიტოქიმიური ანალიზი.
50. ანტრაცენწარმოებულების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - სინამაქის ფოთლების, კრაზანას ბალახის, ენდროს ფესვების მაკრო- და მიკრო-ანალიზი;
51. მთრიმლავი ნივთიერებების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - მუხის ქერქების მაკრო-, მიკრო- და ფიტოქიმიური ანალიზი;
52. მთრიმლავი ნივთიერებების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის - დვალურას ფესურას, თრიმლის და თუთუბოს ფოთლების მაკრო- და მიკრო-ანალიზი.